

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

გიორგი ექიზაშვილი

ცხენთან ურთიერთობა და ბავშვის კოგნიტური
განვითარება

სამაგისტრო ხელმძღვანელი: დარეჯან (ჯანა) კახიანი



თბილისი, 2024

აბსტრაქტი

დღევანდელ სწრაფ და ტექნოლოგიურ სამყაროში ბუნებასთან ურთიერთობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მით უფრო მაშინ, როცა ვსაუბრობთ ბავშვის განვითარებასთან კავშირში. ამ კვლევის მიზანია ცხენტან ურთიერთობის შესწავლა, თუ როგორ გავლენას ახდენს იგი ბავშვის კოგნიტურ განვითარებაზე. როგორი სახის გავლენა შეიძლება იქონიოს ცხენტან ურთიერთობამ (იქნება ეს საცხენოსნო გაკვეთილებში ჩართულობა, იპოთერაპიული სეანსები თუ ცხენტან უბრალო ყოფითი ურთიერთობა, როგორც შინაურ ცხოველთან) ბავშვის შემეცნებითი უნარების განვითარებაზე, მის აკადემიურ მოსწრებასა და მის სასწავლო მოტივაციაზე. აღნიშნული კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდოლოგიის მიხედვით. კვლევის ექვს მონაწილესთან სიღრმისეული ინტერვიუების გამოყენებით შეგროვდა მონაცემები, რომლებიც დამუშავდა ნარატიული ანალიზის გზით.

დასკვნები ცხადყოფს, რომ ცხენტან ურთიერთობა დადებითად უწყობს ხელს ბავშვის კოგნიტური განვითარების სხვადასხვა ასპექტს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ცხენის მართვა მოითხოვს ყურადღებისა და კონცენტრაციის მაღალ დონეს, რაც შემდგომში ზოგადდება აკადემიურ გარემოში. ბავშვები, რომლებიც ჩართულნი არიან ცხენოსნობაში, ბუნებრივ პირობებში იუმჯობესებენ კონცენტრაციისა და ყურადღების უნარებს. ცხენის მართვა ასევე აუმჯობესებს სივრცეში ორიენტაციის უნარს ვინაიდან ბავშვს ამ დროს ეძლევა შესაძლებლობა გარემო აღიქვას განსხვავებული პერსპექტივიდან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცხენტან, როგორც ცოცხალ არსებასთან ურთიერთობა მუდმივად წარმოქმნის განსაკუთრებულ სიტუაციებს, სადაც ბავშვებს უწევთ ახალი პრობლემის გადაჭრა, ეს კი ავითარებს პრობლემის გადაჭრაზე მიმართულ აზროვნებას.

გარდა უშუალოდ ამ პირდაპირი გავლენისა კოგნიტურ განვითარებაზე, ცხენტან ურთიერთობამ შესაძლოა ირიბადაც იმოქმედოს ბავშვის

შემეცნებით უნარებზე. ცხენტან ურთიერთობა ამცირებს სტრესს ბავშვებში და ქმნის ემოციურ კეთილდღეობას, რაც უფრო მეტად უწყობს ხელს სწავლისათვის მზადყოფნას.

გარდა ამისა კვლევამ აჩვენა, რომ საცხენოსნო გაკვეთილებში ჩართვა თუ უბრალოდ ცხენის მოვლის წესების გაგება უკვე მოითხოვს დიდი თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის ათვისებას, რაც უკვე თავისთავად მნიშვნელოვნად ავარჯიშებს ბავშვის შემეცნებით უნარებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევის მიზანია არა მიღებული შედეგების განზოგადება, არამედ ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებით ინტერესის აღძვრა, რაც იმპულსს მისცემს სამომავლო კვლევებს, რომლებიც უფრო დიდ პოპულაციაზე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უფრო სიღრმისეულად შეისწავლიან აღნიშნულ საკითხს.

Abstract

In today's fast and technological world, the relationship with nature acquires special importance. Especially when we are talking about the connection with the child's development. This study was interested in the effect of interaction with a horse on a child's cognitive development. What kind of impact can a relationship with a horse (be it participation in riding lessons, hippotherapy sessions or simply being with a horse as a pet) have on the development of a child's cognitive skills, his academic performance and his learning motivation.

The mentioned research was conducted according to the qualitative methodology. Data were collected through in-depth interviews with six study participants, which were processed through narrative analysis.

The results show that interacting with horses positively contributes to various aspects of a child's cognitive development. First of all, horse management requires a high level of attention and concentration, which is further generalized in the academic environment. Children who are involved in horse riding improve their concentration and attention skills in natural conditions. Riding a horse also improves their spatial awareness, as the child is given the opportunity to perceive the environment from a different perspective. It is also important that the relationship with the horse as a living creature constantly creates special situations where children have to solve a new problem, and this develops a problem-solving thinking.

In addition to these direct effects on cognitive development, exposure to horses may also indirectly affect a child's cognitive abilities. Horse contact reduces stress in children and creates emotional well-being, which further promotes readiness for learning. In addition, research has shown that participating in riding lessons or simply understanding the rules of horse care already requires a lot of theoretical or practical knowledge, which in itself significantly trains the child's cognitive skills.

It should be noted that the purpose of this study is not to generalize the obtained results, but to arouse interest in this specific issue, which will give an impetus to future studies, which will study the mentioned issue in more depth on a larger population, using modern technologies.